საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №31

ქ. ბათუმი 18 აპრილი, 2017 წ.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად აკადემიური საბჭოს 2017 წლის 02 მარტის №13 დადგენილებით გამოცხადებული კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის“, აკადემიური საბჭოს 2017 წლის 02 მარტის №13 დადგენილებისა და საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის (№5, 12.04.2017) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 02 მარტის №13 დადგენილებით გამოცხადებული კონკურსის შედეგები და კონკურსის საფუძველზე **კლინიკური მედიცინის დეპარტამენტში** ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე **2021 წლის 25 აპრილამდე ვადით** არჩეული იქნენ:

ა) საბაზისო მედიცინის მიმართულებით:

1) რუსუდან ვადაჭკორია - ასისტენტ პროფესორი;

2) სოფიკო ცქვიტინიძე - ასისტენტ პროფესორი.

ბ) თერაპიის მიმართულებით:

3) გიორგი ნიკოლაიშვილი - ასისტენტ პროფესორი.

2. კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს 2017 წლის 25 აპრილიდან;

3. დადგენილება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და კონკურსში გამარჯვებულ პირებს.

4. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**